კოლეჯი ,,ოპიზარი"



# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და მომზადება/ გადამზადების პროგრამების

# კატალოგი

2026

# სარჩევი

კოლეჯის შესახებ ........ 5
კოლეჯის მისია, ხედვა, ღირებულებები ........ 8
კოლეჯის დირექტორი ........ 10
კოლეჯის რუკა ........ 11
კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები ........ 12

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

შედუღება ........ 18
ფერმერობა (ინტეგრირებული) ........ 21
ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი (მოდულური) ........ 25
ელექტროობა ........ 28
ვეტერინარია ........ 31
კულინარიის ხელოვნება ........ 35
აგრომექანიზაცია ........ 38

იატაკისა და ფილის სამუშაოები ..................... 42
საავტომობილო გზების მშენებლობა ............ 45
სამკერვალო წარმოება ..................................... 48
ფერმერობა (მოდულური) .............................. 52
ხის მხატვრული დამუშავება ........................ 56
სატყეო საქმე .................................................. 59
საფინანსო სერვისები ..................................... 62
ფრჩხილის მომსახურება ................................ 65
ადმინისტრაციული სერვისები ..................... 68
ანონსი ............................................................... 71

პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები

ცხოველთა დაავადებები და პირველადი ვეტერინარული დახმარება ......................... 73
ფრჩხილის დამუშავება და დაფარვა გელ-ლაქით ............................................................... 75
კარტოფილის წარმოების ინოვაციური მეთოდები .................................................... 77

სამკურნალო მცენარეების დამზადება ............ 80

სახერხი ჩარხის მართვა .................................. 82

ხე-ტყის დამზადება ........................................ 84

ტყის არამერქნული პროდუქტების მდგრადი წარმოება ............................................ 86

პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი ............................................................ 89

# კოლეჯის შესახებ

სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“ დაარსებულია 1977 წელს ქ. ახალციხეში, შოთა რუსთაველის #111-ში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების საფუძველზე. კოლეჯი ოპერირებს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში და არის მრავალპროფილური. მისი მთავარი მისიაა რეგიონის შრომის ბაზრის შესაბამისი მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში კოლეჯმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. განხორციელდა დაწესებულების სრული რეაბილიტაცია, აღიჭურვა უახლესი ინვენტარით, კომპიუტერული ტექნიკით, სასწავლო და დამხმარე სივრცეებით. კოლეჯში სწავლების თანამედროვე და ეფექტური ფორმებია დანერგილი: მოდულური, დუალური, კორპორაციული, ინტეგრირებული, რაც საშუალებას იძლევა სწავლის მსურველმა მასზედ მორგებული მიდგომა აირჩიოს.

ასევე ფუნქციონირებს მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამები, რომლებიც ძირითადად ზრდასრული ბენეფიციარებისთვისაა მნიშვნელოვანი და დამსაქმებლის მზარდ მოთხოვნას შეესაბამება - მოკლე დროში მიიღოს კვალიფიციური კადრი.

კოლეჯი ურთიერთობს სხვა ქვეყნების პროფესიულ დაწესებულებებთან: ესტონეთის, ტალინის სამშენებლო სკოლასთან, სლოვენიის სატყეო მიმართულების სასწავლებელთან, ამჟამად მუშაობს ერასმუსის პროგრამის მიმართულებით, რათა თანამშრომლობა დაამყაროს ქვეყნის გარეთ არსებული შესაბამისი პროფილის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. კოლეჯმა განახორციელა სტუდენტების 6 თვიანი სტაჟირება გერმანიაში, სოფლის მეურნეობის, კერძოდ კი მეცხოველეობის მიმართულებით. ასევე მოხდა პედაგოგების გადამზადება ჰოლანდიაში, ნორვეგიაში, გერმანიაში, ესტონეთში, სლოვენიაში, თურქეთში. ზემოთ აღნიშნული აქტივობები ძირითადად განხორციელდა საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, პროფესიული უნარების სააგენტოს ხელშეწყობით და სხვადასხვა საერთაშორისო ასოციაციისა და პროგრამის მონაწილეობით (INNOVE , UNDP, GIZ). კოლეჯმა განახორციელა არაერთი პროექტი: „ინკლუზიური განათლება," სასკოლო პროფორიენტაციული ხასიათის, ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის მეურნეობისათვის და სხვა ექსტრაკურიკულური პროექტები, რომლებიც სტუდენტების ზოგად განვითარებას უწყობს ხელს.

კოლეჯში ფუნქციონირებს ფაბლაბის ლაბორატორია „ფაბლაბ ოპიზარი“, საერთაშორისო ცისკოს აკადემიის ინტეგრირებული კურსი, შექმნილია სტუდენტური თვითმმართველობა, რაც სტუდენტური ინიციატივების წინ წამოწევას და განხორციელებას უწყობს ხელს.

ბოლო 2 წლის განმავლობაში, კოლეჯში განხორციელდა 29 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. 2025 წელს კოლეჯმა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, მოიპოვა ექვსწლიანი ავტორიზაცია და შესაბამისად, ზემოთაღნიშნული პროგრამებიდან 5 პროგრამის განხორციელების უფლება. დანარჩენი პროგრამების ჩანაცვლება, განახლება და დამატება მოხდება ეტაპობრივად ავტორიზაციის გზით, ახალი პროფესიული სტანდარტის, რეგიონის შრომის ბაზრისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველზე.

კოლეჯის გუნდის თითოეული წევრი ზრუნავს კოლეჯის განვითარებაზე და მისი ცნობადობის ამაღლებაზე, რისთვისაც მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, დამსაქმებლებთან, ასოციაციებთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, რათა შეიქმნას ერთიანი უსაფრთხო სივრცე მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისთვის.

# კოლეჯის მისია

კოლეჯის მისიაა, უზრუნველყოს მოთხოვნად პროფესიებზე ორიენტირებული, პრაქტიკული და ინოვაციური განათლება, რომელიც ეფუძნება გლობალურ სტანდარტებს და ადგილობრივ საჭიროებებს. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური და სამოქალაქო ცნობიერების მქონე კადრების მომზადების გზით წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობაში .

# კოლეჯის ხედვა

2030 წლისთვის ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის დაკვეთის შესაბამისად სტუდენტის საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებულ გარემოში პროფესიული უნარებისა და აზროვნების განვითარება. კოლეჯი იყოს სამცხე-ჯავხეთის რეგიონის ლიდერი საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული განათლების მიმართულებით.

# ღირებულებები

- პროფესიონალიზმი და ხარისხის მაღალი სტანდარტი;

- ინოვაცია და შემოქმედება;
- თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა;
- თანასწორობა, სამართლიანობა, გამჭირვალობა;
- მრავალფეროვანი და ინკლუზიური გარემო;
- სოციალური პასუხისმგებლობა და მდგრადი განვითარება;
- ტოლერანტობა.

# კოლეჯის დირექტორი - ბელა ავალიშვილი




„კოლეჯს გააჩნია კვალიფიციური, გადამზადებული ადამიანური რესურსი, წარმატებული, სიახლეებზე ორიენტირებული მენეჯმენტი. კოლეჯში დასაქმებული მაღალკვალიფიციური 83 პედაგოგის გარდა, პროფესიულ სასწავლებელს ჰყავს მოწვეული პერსონალი, რომელთა გადამზადებაც განხორციელდა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, საერთაშორისო პროექტების ფარგ - ლებში უცხოელი პარტნიორების დახმარებით. კოლეჯი მჭიდროდ თანამშრომლობს პარტნიორ ორგანიზაციებთან, რომლებიც რეგიონის მასშტაბით წარმატებულ ბიზნესს აწარმოებენ და ორიენტირებულნი არიან დასაქმების მაჩვენებლის ზრდაზე. დამსაქმებლებთან არსებული მჭიდრო თანამშრომლობა უზრუნველყოფს კურსადამთავრებულთა დასაქმების მაღალ მაჩვენებელს.

კოლეჯს გააჩნია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემო, სსსმ პირებისათვის ადაპტირებული, უნივერსალური დიზაინის სასწავლო კორპუსი და მიმდებარე ტერიტორია. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას შეემატა ოთხი ახალი სახელოსნო, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე დანადგარებით. ეს მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარების შესაძლებლობებს."

# კოლეჯის რუკა



# კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები

LOMSIA
Hotels • Resorts • Suites
Akhaltsikhe

შემოსავლების სამსახური

MBC

სასოფლო საკონსულტაციო სამსახური

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია

ორიენტირი

# კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები

სეს
სურსათის
ეროვნული
სააგენტო

SL
COMPANY

ENERGO-PRO
GEORGIA

სსიპ ქ.ახალციხის N5 საჯარო სკოლა
AKHALTSIKHE PUBLIC SCHOOL N5

საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

# კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

Benn

სასტუმრო "ტიფლისი"

HOTEL TIFLIS

ს.ს.ს. № 2

შ.პ.ს. საგზაო სამშენებლო სამმართველო № 2

ROAD CONSTRUCTION DIVISION LTD

# კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები

ნოვატორი ფერმერი

ვეტერინარული კლინიკა ,,დადუ"

ინდ. მეწარმე ,,გიორგი პეტაშვილი"

შპს სავაჭრო ცენტრი ,,ახალციხე"

ინდ. საწარმო ,,ხის დამამუშავებელი"

ინდ. მეწარმე ,,რომან ლომიძე"

ინდ. მეწარმე ,,გივი მჭედლიძე"

შპს ,,ნიუ რიო"

შპს ,,ვეტერინარული აფთიაქი"

შპს ,,ნეო პროჯექტი"

შპს ,,მელიზა"

შპს ,,კორომი"

# კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები

ინდ. მეწარმე ,,მირიან დევნოსაძე"

შპს ,,მესხეთ-პროდაქტი"

შპს ,,გეოფლაუერი"

შპს ,,ტაოფუდი"

შპს მესხეთის მეფრინველეობა

შპს ,,ირქა"

მიკრო მეწარმე „გურამ კაჭკაჭაშვილი"

სსიპ ახალციხის N 1 საჯარო სკოლა

კერძო პირი მამუკა ხმალაძე

შპს „სადიდინო"

ა(ა)იპ ახალციხის ციხე

სამცხე-ჯავახეთის ვეტერინართა რეგიონალური ასოციაცია

რესტორანი „ფესვები"

შპს ,,ნადათი"

კოლეჯი ,,ოპიზარი”

# პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები



# შედუღება

## მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედუღებაში

## მიზანი:

უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.

## დაშვების წინაპირობები:

- სრული ზოგადი განათლება
- საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

## დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

შემდუღებელი შეიძლება დასაქმდეს სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ობიექტებზე, მანქანათმშენებლობის საწარმოებში, მილსადენების მშენებლობაზე, გემთმშენებლობაზე, ლითონის კონსტრუქციების მწარმოებელ ქარხნებში და სხვა.





ასევე, მას შეუძლია ზედამხედველობა გაუწიოს საშემდუღებლო სამუშაოების შემსრულებელ მცირე სამუშაო ჯგუფებს.

## სწავლის ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 18 სასწავლო თვე / არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 24 სასწავლო თვე.

## კრედიტების რაოდენობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 87 კრედიტი / არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 117კრედიტი.

## სწავლის შედეგები:

- დაიცვას გარემო და შრომის უსაფრთხოება
- შეასრულოს სამუშაო შედგენილი ნახაზით
- შეასრულოს ხელით ელექტრორკალური შედუღება
- შეასრულოს ნახევრადავტომატური ელექტრორკალური შედუღება აქტიურ (MAG) და ინერტულ (MIG) აირებში
- შეასრულოს არგონში ვოლფრამის უდნობი ელექტროდით შედუღება
- შეასრულოს ნახშირბადიანი საკონსტრუქციო ფოლადების შედუღება
- შეადუღოს ლეგირებული ფოლადები
- შეადუღოს ფერადი ლითონები
- შეადუღოს პლასტმასები
- შეადუღოს კონსტრუქციები
- დაამუშაოს ლითონები თერმულად
- გაარჩიოს შედუღების მასალები და მათი მახასიათებლები
- მოამზადოს მასალები შედუღების პროცესისთვის





- გამოიყენოს შედუღების ტექნოლოგია
- უზრუნველყოს ხარისხი შენადუღ შეერთებაში

## სასწავლო მოდულები:

- მეწარმეობა
- ინფორმაციული წიგნიერება
- უცხოური ენა
- სამოქალაქო განათლება
- შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა
- ხელით ელექტრორკალური შედუღება
- ნახევრადავტომატური ელექტრორკალური შედუღება აქტიურ (MAG) და ინერტულ (MIG) აირებში
- არგონში ვოლფრამის უდნობი ელექტროდით შედუღება
- შედუღების მასალები
- ნახშირბადიანი საკონსტრუქციო ფოლადების შედუღება
- ლეგირებული ფოლადების შედუღება
- ფერადი ლითონების შედუღება
- ტექნიკური ნახაზების შესრულება
- კონსტრუქციების შედუღება
- ლითონების თერმული დამუშავება
- პლასტმასის შედუღება
- შედუღების პროცესისთვის მასალების მომზადება
- შედუღების ტექნოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფა შენადუღ შეერთებაში
- ქართული ენა A2
- ქართული ენა B1





# ფერმერობა (ინტეგრირებული)

## მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში

## მიზანი:

უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამების დანერგვა, რომლებიც როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მოამზადებს კონკურენტუნარიან კადრებს.

## დაშვების წინაპირობები:

საბაზო განათლება

## დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

პირი შეიძლება დასაქმდეს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ ორგანიზაციებში; შეიძლება იყოს თვითდასაქმებული და მართავდეს საკუთარ მეურნეობას. დასაქმების პოზიციებია: ბაზარზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურის მწარმოებლები, მეცხოველეები, შერეული კულტურებისა და ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები, რძისა და მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებლები.

# ფერმერობა (ინტეგრირებული)

## სწავლის ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 27 სასწავლო თვე / არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 32 სასწავლო თვე.

## კრედიტების რაოდენობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 148 კრედიტი / არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 178 კრედიტი.

## სწავლის შედეგები:

- შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოვლა-შენახვა და იზრუნოს მათ კეთილდღეობაზე
- უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვება
- შეარჩიოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯიშები და განაყოფიერების ტექნიკა (ბუნებრივი და ხელოვნური)
- მონაწილეობა მიიღის განაყოფიერებისა და მოზარდის მოგების პროცესში
- ამოიცნოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და გაატაროს ჯანმრთელობის დაცვითი ღონისძიებები
- განახორციელოს ინტერვენციები სასოფლო-სამეურნეო ცხოველებში
- დაამუშაოს ნიადაგი, შეარჩიოს, დათესოს/დარგოს და გამოკვებოს სასოფლო-სამეურნეო კულტურები
- აიღოს მოსავალი
- მართოს ფერმერული მეურნეობა
- დაგეგმოს და განახორციელოს პროდუქტის პირველადი მიღება-რეალიზება

# ფერმერობა (ინტეგრირებული)

## სასწავლო მოდულები:

- გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა
- რაოდენობრივი წიგნიერება
- ინფორმაციული წიგნიერება 1
- უცხოური ენა (ინგლისური ენა)
- გარემოსდაცვითი საფუძვლები
- სურსათის უვნებლობა
- საქართველოს ფლორა
- ნიადაგის დამუშავების საფუძვლები
- თესლბრუნვა
- თესვა და რგვა
- მცენარისათვის საკვები ნივთიერებების განსაზღვრა
- მცენარეთა მავნე ორგანიზმების ამოცნობა
- ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება-დაცვა
- მცენარის საკვები ელემენტით უზრუნველყოფა
- მინდვრის, ბოსტნეულის და საკვები კულტურების შერჩევა
- საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების გამოყენება
- მდელოდ საკვებწარმოება
- მდელოს მართვა
- მინდვრის და ბოსტნეული კულტურების გამოკვება
- მინდვრის და ბოსტნეული კულტურების დაცვა
- მოსავლის აღება-შენახვა
- სოფლის მეურნეობის ცხოველთა საკვების კონსერვირება
- სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოვლა
- სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კეთილდღეობაზე ზრუნვა
- სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა აღწარმოება
- სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვება
- სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ამოცნობა
- სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა შეწყვილება-გამრავლება

# ფერმერობა (ინტეგრირებული)

- ცხოველური წარმოშობის პროდუქტის პირველადი მიღება და ხარისხის უზრუნველყოფა
- სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები
- ინტერვენციები სასოფლო-სამეურნეო ცხოველებში
- აგრობიზნესის ადმინისტრირება
- პროდუქციის დასაწყობება-რეალიზაცია სოფლის მეურნეობაში
- ქართული ენა A2
- ქართული ენა B1
- კომუნიკაცია ქართულ ენაზე
- მათემატიკური წიგნიერება
- მეცნიერება და ტექნოლოგიები
- მოქალაქეობა
- მეწარმეობა

მილევადი



# ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი

## მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობაში

## მიზანი:

მშენებლობის სფეროსთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.

## დაშვების წინაპირობები:

საბაზო განათლება

## დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

პირი შეიძლება დასაქმდეს სამოქალაქო და სამრეწველო შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე ღია სივრცესა და სიმაღლეზე. შეიძლება იყოს თვითდასაქმებული ან დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სამშენებლო-სარემონტო და დიზაინერულ კომპანიებში, სახელმწიფო ან კერძო საწარმო-დაწესებულებაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებული იქნება შენობა-ნაგებობის მშენებლობასთან (მონოლითური, ანაკრები და ქვის კონსტრუქციები; გადახურვები) ან





# ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი

მის რეკონსტრუქცია-გაძლიერებასთან. დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს: ანაკრები კონსტრუქციების (საძირკველი, სვეტი, ფილა, რიგელი, კოჭი და ა.შ.) მომწყობი.

## სწავლის ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 13 სასწავლო თვე (მოდულური მიდგომით) / არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 16 სასწავლო თვე (მოდულური მიდგომით).

## კრედიტების რაოდენობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 71 კრედიტი / არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 86 კრედიტი.

## სწავლის შედეგები:

- მოაწყოს ყალიბი და არმატურის ნაკეთობა (ბადეები, სივრცული და ბრტყელი კარკასები)
- ჩააწყოს ბეტონი მომზადებულ ყალიბში
- განახორციელოს ბეტონის ნიმუშების აღება
- მოუაროს ბეტონს
- აწარმოოს პლასტმასის, რკინაბეტონისა და ლითონის კონსტრუქციების სამონტაჟო სამუშაოები
- აწარმოოს ხის კონსტრუქციების (მზიდი და არამზიდი კედლები, კიბეები, ყალიბი) სამონტაჟო სამუშაოები
- შეასრულოს ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები მზიდ და არამზიდ კონსტრუქციებზე
- განახორციელოს კონსტრუქციების თანმიმდევრული დემონტაჟი უსაფრთხოების ნორმების დაცვით



# ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი

## სასწავლო მოდულები:

- ინფორმაციული წიგნიერება 1
- ინტერპერსონალური კომუნიკაცია
- რაოდენობრივი წიგნიერება
- სამოქალაქო განათლება
- მეწარმეობა 1
- უცხოური ენა (ინგლისური ენა)
- გარემოსდაცვითი სამუშაოები
- გაცნობითი პრაქტიკა მშენებლობის წარმოებაში
- მშენებლობის საფუძვლები
- სამშენებლო ნახაზების კითხვა
- ყალიბების მოწყობა მშენებლობის პროცესში
- საარმატურე სამუშაოები
- ყალიბში ბეტონის ჩაწყობა
- ანაკრები კონსტრუქციების (ხის, პლასტმასის) სამონტაჟო სამუშაოების წარმოება
- ანაკრები კონსტრუქციების (რკინაბეტონის, ლითონის) სამონტაჟო სამუშაოების წარმოება
- სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება
- სწორი და სპირალური კიბეების მოწყობა
- სწორი რკინაბეტონის კიბეების ყალიბების მოწყობა
- ხის მზიდი და არამზიდი კედლების მოწყობა
- ქართული ენა A2







მილევადი

# ელექტროობა

## მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში

## მიზანი:

უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ელექტროობაში. პროგრამის საფუძველზე მომზადდება კადრი ელექტროობაში, მაღალი ძაბვის ელექტროობაში.

## დაშვების წინაპირობები:

სრული ზოგადი განათლება

## დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

პირი შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერ ორგანიზაციაში, რომელიც ფლობს ან ოპერირებას უწევს ქვესადგურებს და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემ ხაზებს. მას შეუძლია აწარმოოს ელექტროენერგიის გადამცემი სისტემების ექსპლოატაცია წარმოების ადგილიდან გამანაწილებელ სისტემამდე, აწარმოოს იმ გამანაწილებელი სისტემების ექსპლოატაცია, რომლებიც აწვდიან წარმოების ადგილიდან ან გადაცემის

სისტემიდან მიღებულ ელექტროენერგიას საბოლოო მომხმარებელს. დასაქმების პოზიციები შესაძლოა იყოს: მონტიორი, მონტიორის თანაშემწე და ელექტროენერგიის გადამცემი სისტემების სპეციალისტი.

## სწავლის ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 13 სასწავლო თვე / არაქართულ-ენოვანი სტუდენტებისთვის 18 სასწავლო თვე.

## კრედიტების რაოდენობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 70 კრედიტი / არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 100 კრედიტი.

## სწავლის შედეგები:

- ჩაატაროს გაზომვითი სამუშაოები სხვადასხვა ტიპის ელექტროტექნიკურ მასალებზე
- გაზომოს ელექტრული ფუნქციების მახასიათებელი სიდიდეები
- შეასრულოს საზეინკლო სამუშაოები ნახაზის მიხედვით
- განახორციელოს მაღალი ძაბვის ეგხ-ის მშენებლობა და გაუწიოს მას მომსახურება
- დაამონტაჟოს ქვესადგურები და გაუწიოს მათ მომსახურება
- მოიპოვოს და გამოიყენოს საინჟინრო ინფორმაცია საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით
- წაიკითხოს და დახაზოს საინჟინრო ნახაზები სხვადასხვა ტექნიკის, მათ შორის კომპიუტერზე დაფუძნებული ხაზვის სისტემის გამოყენებით
- დააპროექტოს პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების სქემები და დაამონტაჟოს პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების

აპარატურა

- გაუწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება დაზარალებულს

---

## სასწავლო მოდულები:

- მეწარმეობა 2
- უცხოური ენა (ინგლისური)
- ქათული ენა A, B1
- ინფორმაციული წიგნიერება 1
- გაცნობითი პრაქტიკა ელექტროობაში
- საინჟინრო ხაზვა
- ელექტრული და ელექტრონული პრინციპები
- კომუნიკაცია ელექტროობის სფეროში
- პიროვნული და ინტერპერსონალური უნარები
- უსაფრთხოება მაღალი ძაბვის ელექტროობაში
- ელექტროტექნიკური მასალები
- ელექტრული ფუნქციები და ანალიზი
- საზეინკლო ოპერაციების შესრულება
- პროგრამირებადი ლოგიკური კონტროლერების პროგრამირება
- მაღალი ძაბვის ეგხ-ის მშენებლობისა და მომსახურების თეორიული საფუძვლები
- მაღალი ძაბვის ეგხ-ის მშენებლობა და მომსახურება
- ქვესადგურების მონტაჟი, დიაგნოსტიკა და მომსახურება

---




# ვეტერინარია

## მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში

## მიზანი:

უზრუნველყოს შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური ვეტერინარი ტექნიკოსის მომზადება.

## დაშვების წინაპირობები:

სრული ზოგადი განათლება

## დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

ვეტერინარიაში კვალიფიკაციის მფლობელი შეიძლება დასაქმდეს ვეტერინარულ კლინიკაში, ფერმერულ მეურნეობაში, ვეტერინარულ აფთიაქში, ზოოპარკში, ზოომაღაზიაში, ცხოველთა თავშესაფარში, ვეტერინარულ ლაბორატორიაში, საკონსულტაციო ცენტრებში, ვივარიუმში, ცხოველთა სასაკლაოზე, ხორცის გადამამუშავებელ საწარმოებში, ვეტერინარული პრეპარატების, ხელოვნური დათესვლის

საწარმოებში, ცხოველური ნედლეულის გადამამუშავებელ საწარმოებში. ასევე, შესაძლოა იყოს თვითდასაქმებული.

## სწავლის ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 22 სასწავლო თვე / არაქართულ-ენოვანი სტუდენტებისთვის 27 სასწავლო თვე.

## კრედიტების რაოდენობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 120 კრედიტი / არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 150 კრედიტი.

## სწავლის შედეგები:

- უმკურნალოს ცხოველებს ვეტერინარის დანიშნულების მიხედვით
- კომპეტენციის ფარგლებში გასცეს რეკომენდაციები / რჩევები ცხოველთა დაავადებებსა და დაზიანებებზე
- უზრუნველყოს პირველადი ვეტერინარული დახმარება ცხოველის, მათ შორის შინაური ცხოველის მსუბუქი დაზიანებისა და გადაუდებელი შემთხვევების დროს
- განახორციელოს ვეტერინარი ქირურგის ასისტირება
- ცხოველთა ხელოვნურად განაყოფიერების მიზნით, შეასრულოს ტექნიკური დავალებები
- აიღოს ლაბორატორიული სინჯები, მოაგროვოს და ჩაატაროს ექსპრესტესტები
- ვეტერინარს გაუწიოს ასისტირება ცხოველთა ჯანმრთელობის პრობლემების დადგენისას და რუტინულ სტომატოლოგიურ პროცედურებში
- განახორციელოს ცხოველთა საკვებისა და კვების პროცესის

მონიტორინგი

- აღრიცხოს და ჩამოწეროს მედიკამენტები, ქიმიკატები და სხვა ფარმაცევტული მასალები
- მიიღოს მონაწილეობა ცხოველთა ზოგად პროფილაქტიკურ, საკარანტინე-შემზღუდველ, გეგმიურ და იძულებით ეპიზოოტიის საწინააღმდეგო (ვაქცინაცია, დეზინფექცია, დერატიზაცია, დეზინსექცია, დეგაზაცია, დეზოდორაცია, დეზაკარიზაცია) ღონისძიებებში
- განახორციელოს ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი
- ვეტერინარის ზედამხედველობით განახორციელოს ცხოველთა დაკვლის შემდგომი შემოწმება

## სასწავლო მოდულები:

- მეწარმეობა 3
- უცხოური ენა
- ინფორმაციული წიგნიერება 2
- გარემოსდაცვითი საფუძვლები
- ინტერპერსონალური კომუნიკაცია
- გაცნობითი პრაქტიკა - ვეტერინარია
- ქიმია
- ბიოლოგია
- ტოქსიკოლოგია
- მიკრობიოლოგია 1
- ჰისტოლოგია 1
- პათოლოგია
- ცხოველთა ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებები
- ბიოქიმიის საფუძვლები
- ცხოველთა დაავადებები
- სურსათის უვნებლობა
- ინფექციის კონტროლის საფუძვლები 1
- ცხოველთა კვება
- დოზირების პრინციპები ვეტერინარიაში
- ვეტერინარული ფარმაცია და ფარმაკოლოგია
- ცხოველთა მოვლა და

კეთილდღეობაზე ზრუნვა
- პირველადი გადაუდებელი ვეტერინარული დახმარება
- ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია
- ცხოველთა მკურნალობა
- ვეტერინარი ქირურგის ასისტირება
- ცხოველთა საკარანტინო-შემზღუდავ ღონისძიებებში მონაწილეობა
- ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი
- ცხოველთა დაკვლისშემდგომი კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობა
- ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგია
- შინაური ბინადარი ცხოველების (ძაღლი და კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა
- ქართული ენა A2
- ქართული ენა B2



მიღებადი

# კულინარიის ხელოვნება

## მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში

## მიზანი:

უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამების დანერგვა, რომლებიც როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მოამზადებს კულინარიის სპეციალისტებს.

## დაშვების წინაპირობები:

საბაზო განათლება

## დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

პირი შეიძლება დასაქმდეს ნებისმიერი ტიპის სასტუმროში, რესტორანსა და სხვა კვებისა და შინა მეურნეობებში, ობიექტებში (სადაც გეგმავენ, ორგანიზებას უკეთებენ და ამზადებენ საკვებს) შემდეგ პოზიციებზე: სასურსათო კვების მომსახურების პუნქტების მომსახურე პერსონალი, მზარეულები, სამზარეულოში დამხმარეები.

## სწავლის ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის

# კულინარიის ხელოვნება

16 სასწავლო თვე / არაქართულ-ენოვანი სტუდენტებისთვის 18 სასწავლო თვე.

## კრედიტების რაოდენობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 86 კრედიტი / არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 101 კრედიტი.

## სწავლის შედეგები:

- განახორციელოს საკვები პროდუქტებისა და ნედლეულის პირველადი და მექანიკური დამუშავება
- განახორციელოს ნედლეულისა და პროდუქტების თერმული დამუშავება
- მოამზადოს მარტივი კერძები
- მოამზადოს ქართული სამზარეულოს გავრცელებული ძირითადი კერძები და გარნირები
- მოამზადოს საერთაშორისო სამზარეულოს გავრცელებული ძირითადი კერძები და გარნირები
- განსაზღვროს კერძის მოსამზადებლად საჭირო ნედლეულის რაოდენობა
- განახორციელოს პროდუქტებისა და დამხმარე მასალების შეკვეთა და მიღება-განთავსება
- აღრიცხოს ვადაგასული და გაფუჭებული პროდუქტი

## სასწავლო მოდულები:

- უცხოური ენა
- ინფორმაციული წიგნიერება 1
- გაცნობითი პრაქტიკა - სასტუმრო, რესტორანი და კვება
- ტურიზმისა და სტუმარმასპინ-ძლობის შესავალი
- პირველადი გადაუდებელი დახმარება
- ჰიგიენა და სანიტარული ნორმები
- სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა

- კომუნიკაცია სერვისის სფეროსთვის
- გარემოსდაცვითი საფუძვლები
- საკვები პროდუქტების ტექნოლოგია
- კულინარიული ხელოვნების ისტორია
- მარაგების კონტროლი
- კერძების მომზადების ტექნოლოგია
- ქართული სამზარეულოს ძირითადი კერძების მომზადება
- ქართული სამზარეულოს საუზმეული
- საერთაშორისო სამზარეულოს გავრცელებული კერძების მომზადება
- კულინარიული მინი ნაწარმის მომზადება
- სამზარეულოს ფუნქციონირება / სამზარეულოს ტექნოლოგიები (კულინარიის ხელოვნებისთვის)
- კალკულაცია და აღრიცხვა კვების ობიექტებში
- პრაქტიკული პროექტი - კულინარიის ხელოვნება / მზარეული
- სწრაფი კვება
- ქართული ენა A2




# აგრომექანიზაცია

## მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აგრომექანიზაციაში

## მიზანი:

უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურების კომპეტენციის მქონე კონკურენტ-უნარიანი კადრის აღზრდა.

## დაშვების წინაპირობები:

სრული ზოგადი განათლება

## დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

პირი შეიძლება დასაქმდეს კერძო ორგანიზაციებსა და სახელმწიფოს მიერ შექმნილ მექანიზაციის ცენტრებში, მსხვილი ფერმერების მფლობელობაში არსებულ ტექნიკურ სერვის საწარმოებში, სოფლის მეურნეობის რეგიონულ და რაიონულ საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რეგიონებში განლაგებულ საცდელ ბაზებზე, რაიონებში კერძო პირების მიერ შექმნილ ფერმერთა

მომსახურების ცენტრებში. აგრეთვე, შესაძლებელია იყოს თვითდასაქმებული.

## სწავლის ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 17 სასწავლო თვე / არაქართულ-ენოვანი სტუდენტებისთვის 22 სასწავლო თვე

## კრედიტების რაოდენობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 92 კრედიტი / არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 122 კრედიტი.

## სწავლის შედეგები:

- აგრარული ტექნიკა უზრუნველყოს საწვავ-საცხები მასალით
- მოახდინოს აგრარული ტექნიკის დიაგნოსტირება
- განახორციელოს აგრარული ტექნიკის რემონტი
- აგრარული ტექნიკის სერვისისთვის გაიანგარიშოს სამუშაო ძალისა და სხვა ფულადი დანახარჯები
- უზრუნველყოს  სამელიორაციო ტექნიკის და სისტემების ტექნიკური სერვისი
- განახორციელოს აგრარული ტექნიკის ექსპლუატაცია და გაიანგარიშოს აგრარული ტექნიკის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები
- განახორციელოს აგრარული დანიშნულების შენობა-ნაგებობების მოვლითი ღონისძიებები

## სასწავლო მოდულები:

- უცხოური ენა
- ინფორმაციული წიგნიერება 1
- გარემოსდაცვითი საფუძვლები
- რაოდენობრივი წიგნიერება
- ხაზვა



# აგრომექანიზაცია

- გაცნობითი პრაქტიკა სოფლის მეურნეობა
- ნიადაგის დამუშავების საფუძვლები
- ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება-დაცვა
- სურსათის უვნებლობა
- თესლბრუნვა
- საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების გამოყენება
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მართვა-მომსახურება
- აგრარული ტექნიკის საფუძვლები
- ტრაქტორის და კომბაინის ძრავის ტექნიკური სერვისი
- ტრაქტორის და კომბაინის ტრანსმისიისა და სამუხრუჭე სისტემის ტექნიკური სერვისი
- ტრაქტორის და კომბაინის ჰიდრავლიკური სისტემებისა და ელექტრონული მოწყობილობების ტექნიკური სერვისი
- კომბაინის სამკალი, სალეწი, საბერტყი და დამაქუცმაცებელი მექანიზმების ტექნიკური სერვისი
- კულტტექნიკური სამუშაოების ჩასატარებელი მანქანების ტექნიკური სერვისი
- ნიადაგდამამუშავებელი მანქანების ტექნიკური სერვისი
- მცენარეთა ქიმიური დაცვისა და სასუქის შემტანი მანქანების ტექნიკური სერვისი
- საკვებწარმოების მანქანების ტექნიკური სერვისი
- მოტობლოკური აგრეგატების ტექნიკური სერვისი
- მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების სათეს-სარგავი მანქანების ტექნიკური სერვისი
- შრომის დაცვა აგრარულ საწარმოებში
- პრაქტიკული პროექტი - აგრარულ მანქანათა ტექნიკური სერვისი
- პრაქტიკული პროექტი - აგრარული ტექნიკის რემონტი
- აგრარული დანიშნულების შენობა-ნაგებობების სერვისი
- აგრარული ტექნიკის ექსპლუატაცია

# აგრომექანიზაცია

- სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია
- თავთავიანი და სათოხნი კულტურების ალება
- მარცვლეული კულტურების თესვა
- ნიადაგის დამუშავება
- ქართული ენა A2
- ქართული ენა B1



მიღებადი

# იატაკისა და ფილის სამუშაოები

## მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში

---

## მიზანი:

მშენებლობის სფეროსთვის უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება იატაკისა და ფილის სამუშაოების შესასრულებლად.

---

## დაშვების წინაპირობები:

საბაზო განათლება

## დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

პირი შეიძლება დასაქმდეს სამოქალაქო და სამრეწველო შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე ღია ან/და დახურულ სივრცესა და სიმაღლეზე. ის შეიძლება იყოს თვითდასაქმებული ან დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სამშენებლო-სარემონტო და დიზაინერულ კომპანიებში, სახელმწიფო ან კერძო საწარმო-დაწესებულებაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებული იქნება შენობა-ნაგებობის მშენებლობას ან მის რეკონსტრუქცია-გაძლიერებასთან .





# იატაკისა და ფილის სამუშაოები

## სწავლის ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 15 სასწავლო თვე / არაქართულ-ენოვანი სტუდენტებისთვის 18 სასწავლო თვე.

## კრედიტების რაოდენობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 82 კრედიტი / არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 97 კრედიტი.

## სწავლის შედეგები:

- მოამზადოს იატაკი და კედელი მოსაპირკეთებლად
- დაახარისხოს ფილები სხვადასხვა ფორმებად
- დაჭრას ფილები სხვადასხვა ფორმებად
- მოამზადოს დუღაბი და წებო-ცემენტის ნაზავი ფილებისა და მოზაიკური ფილების დასაგებად
- დააგოს მეტლახის, გრანიტის, ვინილის ტიპის, რბილი და სხვადასხვა ზედაპირის იატაკი
- განახორციელოს ბეტონისა და პოლიმერული სამრეწველო იატაკის მოჭიმვა
- დაამუშაოს გამშრალი დუღაბის და ქვიშა-ცემენტის ხსნარით დამზადებული იატაკი
- მოაწყოს ფილისქვეშა ჰიდროიზოლაცია
- მოაწყოს იატაკი ხის მასალისგან უსაფრთხოების ნორმების დაცვით

## სასწავლო მოდულები:

- უცხოური ენა
- ინფორმაციული წიგნიერება 1
- გარემოსდაცვითი საფუძვლები
- რაოდენობრივი წიგნიერება
- მეწარმეობა 1
- ქართული ენა A2
- ინტერპერსონალური კომუნიკაცია
- სამოქალაქო განათლება





# იატაკისა და ფილის სამუშაოები

- გაცნობითი პრაქტიკა მშენებლობის წარმოებაში
- მშენებლობის საფუძვლები
- სამშენებლო ნახაზების კითხვა
- ბეტონისა და პოლიმერული სამრეწველო იატაკის მოჭიმვა
- ვინილის ტიპის და რბილი იატაკის ზედაპირის მოჭიმვა
- ზედაპირის მოპირკეთება მოზაიკური ფილებით
- კედლისა და იატაკის მომზადება ფილებით მოპირკეთებისთვის
- კედლისა და იატაკის მოპირკეთება ფილებით
- მეტლახის და გრანიტის იატაკის დაგება
- სხვადასხვა სახის იატაკის დაგება (ლამინირებული, ხის)
- ფილის დამუშავება
- ხის იატაკის მოწყობა






# საავტომობილო გზების მშენებლობა

## მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგზაო მშენებლობაში

## მიზანი:

უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სფეროს უზრუნველყოფს კომპეტენტური კადრებით, რომლებიც შეძლებენ გზების (საავტომობილო და სარკინიგზო) მშენებლობას, მომსახურებას.

## დაშვების წინაპირობები:

- საბაზო განათლება
- მინიმალური ასაკი 18 წელი

## დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

პირს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებული იქნება გზების მშენებლობასთან, რეაბილიტაციასა და ექსპლუატაცია-სთან.

## სწავლის ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 16 სასწავლო თვე / არაქართულ-

ენოვანი სტუდენტებისთვის 18 სასწავლო თვე.

---

## კრედიტების რაოდენობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 84 კრედიტი / არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 99 კრედიტი.

---

## სწავლის შედეგები:

- შეარჩიოს სამშენებლო მასალები, ხელსაწყო-იარაღები და ინვენტარი
- შეამოწმოს საგზაო საფარის მოწყობისთვის მიწის ვაკისის მზადყოფნა
- შეასრულოს სამუშაო უბანზე ასფალტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები
- შეასრულოს სამუშაო უბანზე ცემენტობეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები
- შეასრულოს სამუშაო უბანზე ქვაფენილის მოწყობის სამუშაოები
- მართოს საგზაო მასალების ნარჩენები
- გამოავლინოს არსებული საავტომობილო გზების დაზიანებული უბნები
- მონაწილეობა მიიღოს საავტომობილო გზებზე მოძრაობის შეზღუდვის პროცესში
- შეაკეთოს საავტომობილო გზების სამოსის დაზიანებული უბანი
- გაუშვას ექსპლუატაციაში შეკეთებული უბანი

---

## სასწავლო მოდულები:

- უცხოური ენა (ინგლისური)
- ინფორმაციული წიგნიერება 1
- რაოდენობრივი წიგნიერება
- მეწარმეობა 1
- ქართული ენა A2

- ინტერპერსონალური კომუნიკაცია
- გაცნობითი პრაქტიკა საგზაო მშენებლობაში
- გეოდეზიის საფუძვლები
- მეტროლოგია
- მიწის ვაკისის მოწყობა
- საინჟინრო გრაფიკა
- არსებული საავტომობილო გზების ექსპლუატაცია-რეაბილიტაცია
- პრაქტიკული პროექტი საავტომობილო გზების მშენებლობაში
- საავტომობილო გზების მშენებლის სამუშაო ადგილის / პროცესის ორგანიზება
- საგზაო საფარის მოწყობა
- უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა გზების მშენებლობის დროს
- საგზაო სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა




# სამკერვალო წარმოება

## მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში

## მიზანი:

უზრუნველყოს სამკერვალო წარმოებისთვის მაღალკვალიფი-ციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს ქალის, მამაკაცის, ბავშვის და სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო ნაწარმის კონსტრუირებას, მოდელირებას და მასალაში შესრულებას, ასევე ქართული ეროვნული სამოსის მასალაში შესრულებას და დეკორატიულ გაფორმებას, ტანსაცმლის შეკეთებას, გადაკეთებას და აღდგენას, საკერავი მანქანებისა და თბურ-დანამვითი დანადგარების შერჩევა/გამოყენებას და სამკერვალო ნაწარმის ხარისხის კონტროლს.

## დაშვების წინაპირობები:

საბაზო განათლება

## დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

პირი შეიძლება დასაქმდეს დიდი, საშუალო და მცირე სიმძლავრის





# სამკერვალო წარმოება

სამკერვალო საწარმოებში, მოდის სალონებში მკერავის და კონსტრუქტორის პოზიციაზე.

## სწავლის ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 18 სასწავლო თვე / არაქართულ-ენოვანი სტუდენტებისთვის 21 სასწავლო თვე.

## კრედიტების რაოდენობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 99 კრედიტი / არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 114 კრედიტი.

## სწავლის შედეგები:

- უზრუნველყოს უსაფრთხო სამუშაო ადგილის ორგანიზება
- შექმნას სხვადასხვა დანიშნულების ტანსაცმლის კომპოზიცია
- შეარჩიოს სამკერვალო ნაწარმის დამზადებისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე მასალები, დაამზადოს ჩანახაზი და გამოჭრას ქსოვილი
- გამოიყენოს ტანსაცმლის დამზადებისათვის საჭირო სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო მანქანები და თბურ- დანამვითი დამუშავების მოწყობილობები
- დაამუშაოს ტექნოლოგიურად ტანსაცმლის დეტალები და ძირითადი კვანძები
- გაიანგარიშოს საწყისი მონაცემები ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუქტორული დაგეგმარებისათვის
- განახორციელოს ქალის, მამაკაცისა და ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუქტორული დაგეგმარება და მოდელირება
- გააფორმოს დეკორატიულად ქართული ეროვნული სამოსი
- შეასრულოს მასალაში ქართული





ეროვნული სამოსი
- შეასრულოს მასალაში ქალის ტანსაცმელი
- შეასრულოს მასალაში მამაკაცის ტანსაცმელი
- შეასრულოს მასალაში ბავშვის ტანსაცმელი
- შეასრულოს მასალაში სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო ნაწარმი
- გადააკეთოს ტანსაცმელი
- აღადგინოს ტანსაცმლის დაზიანებული უბნები

## სასწავლო მოდულები:

- ინტერპერსონალური კომუნიკაცია
- ინფორმაციული წიგნიერება 1
- მეწარმეობა 1
- რაოდენობრივი წიგნიერება
- სამოქალაქო განათლება
- უცხოური ენა - ინგლისური
- გაცნობითი პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა
- კოსტუმის ისტორიის საფუძვლები
- ტანსაცმლის კომპოზიციის შექმნა
- სატანსაცმლე მასალების კონფექციონირება
- ტანსაცმლის დამუშავების საწყისები და ზოგადი ტექნოლოგია
- ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება
- მამაკაცის ტანსაცმლის კონსტრუირება და მოდელირება
- ბავშვის ტანსაცმლის კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური დაგეგმარება
- ქართული ეროვნული სამოსის დეკორატიული გაფორმება
- ქალის ტანსაცმლის მასალაში შესრულება
- მამაკაცის ტანსაცმლის მასალაში შესრულება
- ქართული ეროვნული სამოსის





მასალაში შესრულება

- სხვადასხვა დანიშნულების სამკერვალო ნაწარმის მოდელირება
- ტანსაცმლის შეკეთება, გადაკეთება და აღდგენა
- პრაქტიკული პროექტი - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა
- საწარმოო პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვა
- ქართული ენა A2

---

მილევადი

# ფერმერობა (მოდულური)

## მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სოფლის მეურნეობაში

## მიზანი:

უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამების დანერგვა, რომლებიც როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის მოამზადებს სოფლის მეურნეობის სფეროსთვის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიან კადრებს.

## დაშვების წინაპირობები:

საბაზო განათლება

## დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

პირი შეიძლება დასაქმდეს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ ორგანიზაციებში, აგრეთვე, შესაძლებელია იყოს თვითდასაქმებული და მართავდეს საკუთარ მეურნეობას. დასაქმების პოზიციებია: ბაზარზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურის მწარმოებლები, მეცხოველეები,

# ფერმერობა (მოდულური)

შერეული კულტურებისა და ცხოველური პროდუქტების მწარმოებლები, რძისა და მეცხოველეობის პროდუქტების მწარმოებლები.

## სწავლის ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 17 სასწავლო თვე / არაქართულ-ენოვანი სტუდენტებისთვის 22 სასწავლო თვე.

## კრედიტების რაოდენობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 90 კრედიტი / არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 120 კრედიტი.

## სწავლის შედეგები:

- შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოვლა-შენახვა და იზრუნოს მათ კეთილდღეობაზე
- უზრუნველყოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვება
- შეარჩიოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯიშები და განაყოფიერების ტექნიკა (ბუნებრივი და ხელოვნური)
- მონაწილეობა მიიღის განაყოფიერებისა და მოზარდის მოგების პროცესში
- ამოიცნოს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და გაატაროს ჯანმრთელობის დაცვითი ღონისძიებები
- განახორციელოს ინტერვენციები სასოფლო-სამეურნეო ცხოველებში
- დაამუშაოს ნიადაგი, შეარჩიოს, დათესოს/დარგოს და გამოკვებოს სასოფლო-სამეურნეო კულტურები

# ფერმერობა (მოდულური)

- აიღოს მოსავალი
- მართოს ფერმერული მეურნეობა
- დაგეგმოს და განახორციელოს პროდუქტის პირველადი მიღება-რეალიზება

## სასწავლო მოდულები:

- გაცნობითი პრაქტიკა - სოფლის მეურნეობა
- რაოდენობრივი წიგნიერება
- ინფორმაციული წიგნიერება 1
- უცხოური ენა (ინგლისური ენა)
- გარემოსდაცვითი საფუძვლები
- სურსათის უვნებლობა
- საქართველოს ფლორა
- ნიადაგის დამუშავების საფუძვლები
- თესლბრუნვა
- თესვა და რგვა
- მცენარისათვის საკვები ნივთიერებების განსაზღვრა
- მცენარეთა მავნე ორგანიზმების ამოცნობა
- ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება-დაცვა
- მცენარის საკვები ელემენტით უზრუნველყოფა
- მინდვრის, ბოსტნეულის და საკვები კულტურების შერჩევა
- საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების გამოყენება
- მდელოდ საკვებწარმოება
- მდელოს მართვა
- მინდვრის და ბოსტნეული კულტურების გამოკვება
- მინდვრის და ბოსტნეული კულტურების დაცვა
- მოსავლის აღება-შენახვა
- სოფლის მეურნეობის ცხოველთა საკვების კონსერვირება
- სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოვლა
- სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კეთილდღეობაზე ზრუნვა
- სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა აღწარმოება
- სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა

კვება

- სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ამოცნობა
- სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა შეწყვილება-გამრავლება
- ცხოველური წარმოშობის პროდუქტის პირველადი მიღება და ხარისხის უზრუნველყოფა
- სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები
- ინტერვენციები სასოფლო-სამეურნეო ცხოველებში
- აგრობიზნესის ადმინისტრირება
- პროდუქციის დასაწყობება-რეალიზაცია სოფლის მეურნეობაში
- ქართული ენა A2
- ქართული ენა B1



მილევადი

# ხის მხატვრული დამუშავება

## მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში

## მიზანი:

უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ხის მხატვრული დამუშავების სფეროსთვის.

## დაშვების წინაპირობები:

საბაზო განათლება

## დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

პირი შეიძლება დასაქმდეს ავეჯის კონსტრუქტორად, ეკლესიების, სკოლების, რესტორნების ავეჯის მწარმოებლად, სპეციალური ავეჯის (დახლების, ვიტრინების, თაროების და მისთ.) მწარმოებლად, საოფისე ავეჯის მწარმოებლად, ხის საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სამზარეულოს საკუთნოების მწარმოებლად, სტატუეტების და ორნამენტების, ხის ინკრუსტაციების, ხის ფერადი მოზაიკის მწარმოებლად, ხის ყუთების, საიუველირო ნაკეთობების,

# ხის მხატვრული დამუშავება

სასადილო საკუთნოების და მსგავსი ნაკეთობების მწარმოებლად. პირს შეუძლია დასაქმდეს: ავეჯის დამამზადებელ საწარმოში, ხის დამამუშავებელ საწარმოში, ხის წნული ნივთების დამამზადებელ სახელოსნოში, შექმნას კერძო წარმოება და აწარმოოს საკუთარი ბიზნესი.

## სწავლის ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 16 სასწავლო თვე / არაქართულ-ენოვანი სტუდენტებისთვის 19 სასწავლო თვე.

## კრედიტების რაოდენობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 89 კრედიტი / არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 104 კრედიტი.

## სწავლის შედეგები:

- შექმნას კომპიუტერული გრაფიკული პროგრამების გამოყენებით ხის ნაკეთობათა ესკიზი/ნახაზი
- დაამუშავოს მერქანი და მერქნული მასალა
- ააწყოს და მოაპირკეთოს ხის ნაკეთობები
- განახორციელოს მარტივი და რთული მხატვრული კვეთა ხეში
- განახორციელოს კომპიუტერული დანადგარების გამოყენებით ხის მხატვრული დამუშავება
- დაამზადოს ხის მხატვრული ნიმუში მოზაიკური ტექნოლოგიით
- შექმნას ხის წნული ნაკეთობები
- განახორციელოს ხის ნაკეთობების შეკეთება

# ხის მხატვრული დამუშავება

## სასწავლო მოდულები:

- მეწარმეობა 1
- უცხოური ენა
- ქართული ენა A2
- ინფორმაციული წიგნიერება 1
- რაოდენობრივი წიგნიერება
- ინტერპერსონალური კომუნიკაცია
- სამოქალაქო განათლება
- ხაზვა - ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავებისთის
- კომპიუტერული საინჟინრო გრაფიკა PHOTOSHOP CS
- გაცნობითი პრაქტიკა - ხის, ქვისა და ლითონის მხატვრული დამუშავება
- ძერწვის საწყისები
- აკადემიური ხატვისა და ფერწერის საწყისები
- მერქნისა და მერქნული მასალებისგან ნაკეთობების დამზადების ტექნოლოგიები
- კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები ხის მხატვრული დამუშავებისა და ავეჯის კონსტრუირებისთვის
- ხეზე მხატვრული კვეთა
- მოზაიკური ტექნოლოგიით ნიმუშის დამზადება
- ხის მხატვრული დამუშავება რიცხვით პროგრამული მართვის ჩარხების გამოყენებით
- ქართული ტრადიციული ხის ნაკეთობების დამზადება
- ხის წნული ნაკეთობების დამზადება
- ხის ნაკეთობათა შეკეთება
- პრაქტიკული პროექტი - ხის მხატვრულ დამუშავებაში
- იატაკის მოწყობა
- ხის კარ-ფანჯრებისა და კიბის დამზადება



# სატყეო საქმე

## მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში

## მიზანი:

შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას.

## დაშვების წინაპირობები:

სრული ზოგადი განათლება

## დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

სატყეო საქმის სპეციალისტის პროფესია გულისხმობს ტყეში, ღია ცის ქვეშ რთულ ოროგრაფიულ და კლიმატურ პირობებში არასტანდარტული კომუნიკაციით და სამუშაო რეჟიმით მუშაობას, სატყეო სამეურნეო ღონისძიებების უსაფრთხოდ განხორციელებას. პირს შეუძლია დასაქმდეს, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში.

# სატყეო საქმე

## სწავლის ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 20 სასწავლო თვე / არაქართულ-ენოვანი სტუდენტებისთვის 26 სასწავლო თვე.

## კრედიტების რაოდენობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 90 კრედიტი / არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 120 კრედიტი.

## სწავლის შედეგები:

- მოამზადოს სატყეო სამუშაოს ჩატარებისთვის ლოკაცია
- ისარგებლოს ტყის მერქნული რესურსით
- დაამზადოს და დაახარისხოს ხე-ტყე
- დაამზადოს ტყის არამერქნული რესურსი
- უზრუნველყოს დამზადებული ხე-ტყის ტრანსპორტირება
- აწარმოოს ტყის მერქნიან სახეობათა თესლები
- გაატაროს ტყის აღდგენის ღონისძიებები
- დაიცვას ტყე ხანძრებისა და მავნებლებისაგან
- მოაწყოს საფეხმავლო ბილიკები

## სასწავლო მოდულები:

- მეტყევეობის ზოგადი დახასიათება
- მეტყევეობა და ტყეთმოწყობა
- ტყის ძირითადი მერქნიანი სახეობები
- შრომის უსაფრთხოება სატყეო მეურნეობაში
- ტყის მერქნიან სახეობათა თესლების წარმოება
- ტყის სანერგე
- ტყის აღდგენა, გაშენება და სატყეო მელიორაცია
- ხე-ტყის დამზადება
- ტყის დაცვა ხანძრებისაგან
- ტყის დაცვა მავნებელ-



დაავადებისაგან
- ტყის არამერქნული რესურსით სარგებლობა
- ტყით რეკრეაციული სარგებლობა და საფეხმავლო ბილიკების განვითარება
- გარემოს დაცვის საფუძვლები
- ქალის როლი და მისი გავლენა ბუნებათსარგებლობაზე
- საწარმოო პრაქტიკა
- მეწარმეობა
- სამოქალაქო განათლება
- უცხოური ენა (ინგლისური ენა)
- ქართული ენა A2
- ქართული ენა B1




# საფინანსო სერვისები

## მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში

## დაშვების წინაპირობები:

- საბაზო განათლება
- არანაკლებ 17 წელი

## მიზანი:

უზრუნველყოს ისეთი კვალიფიციური პერსონალის მომზადება, რომელიც შეძლებს სხვადასხვა ტიპის საფინანსო მომსახურების გაწევასა და მომხმარებლის საფინანსო სერვისებთან დაკავშირებულ ინფორმირებას. ასევე, საფინანსო სერვისების პროგრამის დანერგვა-განხორციელების ხელშეწყობა.

## დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

საფინანსო სერვისებში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა სავაჭრო ობიექტების მოლარედ, მათ შორის - ბილეთების გაყიდვების სალაროებში; ბანკებსა და არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებში მოლარისა და ოპერატორის

# საფინანსო სერვისები

პოზიციაზე, ასევე, ნივთების დაგირავებითა და ფულადი თანხების გაცემით დაკავებული აგენტებისა და ბუკმეკერების პოზიციებზე.

## სწავლის ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 10 სასწავლო თვე / არაქართულ-ენოვანი სტუდენტებისთვის 13 სასწავლო თვე.

## კრედიტების რაოდენობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 52 კრედიტი / არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 67 კრედიტი.

## სწავლის შედეგები:

- აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება სავაჭრო ობიექტებში
- აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება საბანკო დაწესებულებებში
- განახორციელოს სალარო და საბანკო ოპერაციები
- შესთავაზოს კლიენტებს საბანკო პროდუქტები
- ეფექტურად მოემსახუროს კლიენტებს.

## სასწავლო მოდულები:

- ინფორმაციული წიგნიერება 1
- ინტერპერსონალური კომუნიკაცია
- რაოდენობრივი წიგნიერება
- უცხოური ენა (ინგლისური ენა)
- მეწარმეობა 1
- სამოქალაქო განათლება
- გაცნობითი პრაქტიკა - საფინანსო სერვისები
- ეროვნული და უცხოური ვალუტის დამცავი ნიშნები
- სერვის პლუსი
- სალაროს ოპერაციების განხორციელება

# საფინანსო სერვისები

- ნაღდი ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციების განხორციელება
- ანგარიშის გახსნა-დახურვა
- სწრაფი ფულადი გზავნილები
- უნაღდო ანგარიშსწორების საბანკო ოპერაციები
- სადეპოზიტო მომსახურება
- საკრედიტო პროდუქტები
- დისტანციური საბანკო მომსახურება
- სავაჭრო ობიექტებში მომხმარებლის მომსახურება და პროდუქციის კონტროლი
- საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები
- ქართული ენა A2

# ფრჩხილის მომსახურება



## მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში

## მიზანი:

თმისა და სილამაზის სფერო უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრით, კერძოდ ფრჩხილის (მანიკური და პედიკური) სპეციალისტი.

## დაშვების წინაპირობები:

საბაზო განათლება

## დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

თმისა და სილამაზის მომსახურებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია შესაბამისი კონცენტრაციის საფუძველზე დასაქმდეს შემდეგ პოზიციებზე: ფრჩხილის ოსტატი; პირი ასევე შეიძლება იყოს თვითდასაქმებული.

## სწავლის ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 10 სასწავლო თვე / არაქართულ-ენოვანი სტუდენტებისთვის 13





# ფრჩხილის მომსახურება

სასწავლო თვე.

---

## კრედიტების რაოდენობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 55 კრედიტი / არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 70 კრედიტი.

---

## სწავლის შედეგები:

- დაამუშაოს ხელისა და ფეხის ფრჩხილი
- დაამუშოას ფეხის ქუსლები და კოჟრები
- შეასრულოს ფრჩხილების აკრილით დაგრძელება-გაფორმება
- შეასრულოს ფრჩხილების გელით დაგრძელება-გაფორმება
- შეასრულოს ფრჩხილის გამაგრება აკრილითა და გელით
- შეასრულოს ფრჩხილების გაფორმება თვლებითა და დამატებითი აქსესუარებით
- შეასრულოს ფრჩხილის გუაშით, აკრილის საღებავებით მოხატვა
- შეასრულოს გარქოვანებული კანისა და ნუნების დამუშავება
- შეასრულოს ხელის (მაჯის) და ფეხის (ტერფის) მასაჟი.

---

## სასწავლო მოდულები:

- მეწარმეობა 1
- სამოქალაქო განათლება
- ინფორმაციული წიგნიერება 1
- ინტერპერსონალური კომუნიკაცია
- სილამაზის მომსახურების ობიექტების ორგანიზება
- მარკეტინგი და გაყიდვები
- ანგარიშსწორება, კალკულაცია და ხარჯთაღრიცხვა სილამაზის მომსახურების ობიექტებზე
- პირველადი გადაუდებელი დახმარება
- ფრჩხილის, თმის, კანის ტიპები



და დაავადებები

- სპეცხატვა და ფერთა თეორია
- დარგობრივი ინგლისური ენა
- ფრჩხილის დამუშავების ტექნოლოგია
- ფრჩხილის დიზაინი
- ხელისა და ფეხის სპა პროცედურები
- პრაქტიკული პროექტი - ფრჩხილის მომსახურება
- საწარმოო პრაქტიკა - ფრჩხილის მომსახურება
- დარგობრივი რუსული ენა
- ქართული ენა A2

# ადმინისტრაციული სერვისები



## მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ადმინისტრაციულ სერვისებში

---

## მიზანი:

შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადებას.

---

## დაშვების წინაპირობები:

- სრული ზოგადი განათლება
- საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

---

## დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

ადმინისტრაციული სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს როგორც საჯარო ასევე კერძო დაწესებულებებში, ორგანიზაციის შესაბამისი ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის სპეციალისტად, ხელმძღვანელის თანაშემწედ.





# ადმინისტრაციული სერვისები

## სწავლის ხანგრძლივობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 14 სასწავლო თვე / არაქართულ-ენოვანი სტუდენტებისთვის 20 სასწავლო თვე.

## კრედიტების რაოდენობა:

ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 70 კრედიტი / არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის 100 კრედიტი.

## სწავლის შედეგები:

- დაგეგმოს შეხვედრები და მივლინებები
- მართოს ორგანიზაციის დოკუმენტბრუნვა
- მართოს ორგანიზაციის შესყიდვები და მომარაგება
- გააფორმოს დოკუმენტების რეკვიზიტები და ბლანკები
- მოამზადოს დოკუმენტები არქივისთვის
- მოამზადოს დოკუმენტების პროექტები
- აწარმოოს მიმოწერა სხვადასხვა საკითხებზე
- დაგეგმოს პერსონალის/ ადამიანური რესურსების მართვის საკითხები

## სასწავლო მოდულები:

- ინფორმაციული წიგნიერება
- მეწარმეობა
- პიროვნული უნარები და ინტერპერსონალური კომუნიკაციები
- რაოდენობრივი წიგნიერება
- სამოქალაქო განათლება
- უცხოური ენა
- გაცნობითი პრაქტიკა - ადმინისტრაციული სერვისები
- დოკუმენტების რეკვიზიტებისა და ბლანკების გაფორმება
- კორესპონდენციის ორგანიზება
- მმართველობითი დოკუმენტების მომზადება





# ადმინისტრაციული სერვისები

- ნორმატიული აქტების გამოყენება
- საინფორმაციო-საცნობარო დოკუმენტების წარმოება
- ადმინისტრაციული ასისტირება
- საფინანსო დოკუმენტებთან მუშაობა
- შესყიდვები და მომარაგება
- წერილობით ტექსტთან მუშაობა
- დოკუმენტების არქივისთვის მომზადება
- საორგანიზაციო დოკუმენტების პროექტების მომზადება
- მენეჯმენტის ზოგადი კონცეფციები და საკადრო დოკუმენტაციის წარმოება
- საწარმოო პრაქტიკა - ადმინისტრაციული სერვისები
- ქართული ენა A2
- ქართული ენა B1



# ანონსი

კოლეჯი ,,ოპიზარი"

2026 წელს იგეგმება შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება

მოდის ტექნოლოგია და დიზაინი (IV დონე)

საბათქაშე სამუშაოები (III დონე)

ვეტერინარია (V დონე)

მეფუტკრეობა (IV დონე)

იატაკისა და ფილის სამუშაოები (III დონე)

ელექტროობა (III დონე)

ხის მხატვრული დამუშავება (IV დონე)

FRONT-END დეველოპმენტი (IV დონე)

საკალატოზე სამუშაოთა წარმოება (IV დონე)

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა (III დონე)

სადურგლო საქმე (IV დონე)

მსუბუქი ავტომობილის შიგაწვის ძრავას შეკეთება (III დონე)

კოლეჯი ,,ოპიზარი"

# პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები



# ცხოველთა დაავადებები და პირველადი ვეტერინარული დახმარება

## პროგრამის სახე:

პროფესიული მომზადება

## დონე:

მეოთხე

## პროგრამის ხანგრძლივობა:

13 კვირა  (325 სთ)

## კვირეული საათობრივი დატვირთვა:

25 სთ

## მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური - 6     მაქსიმალური -10

## დაშვების წინაპირობები:

- სრული ზოგადი განათლება
- ასაკი - მინიმუმ 18 წელი

## პროგრამის მიზნები:

პროფესიული მომზადების პროგრამა საშუალებას აძლევს პირებს შეიწავლონ კომპეტენციის ფარგლებში  ცხოველთა ანატომიური აგებულება, ცხოველთა

დაავადებების სახეები და მათი კლინიკური ნიშნები, ინფექციის კონტროლის საფუძვლები, საკარანტინო შეზღუდვები, ასევე, უზრუნველყოს პირველადი ვეტერინარული დახმარება და ჩაატაროს ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკა ექსპრეს ტესტების გამოყენებით. პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს, მიღებული ცოდნაუნარებით ფერმერულ მეურნეობებში დასაქმება/ კარიერულ წინსვლას, თვითდასაქმებას და/ან კონსულტაციების გაწევას საჭიროებისამებრ. პროფესიული მომზადების პროგრამა არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.

## სწავლის შედეგები:

- ცხოველთა ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებები
- ცხოველთა დაავადების სახეები; მათი აღწერა და გამომწვევები
- ინფექციის კონტროლის საფუძვლები და საიზოლაციო/ საკარანტინო ღონისძიებები
- პირველადი გადაუდებელი ვეტერინარული დახმარების ჩატარება
- ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკა ექსპრეს ტესტების გამოყენებით

# ფრჩხილის დამუშავება და დაფარვა გელ-ლაქით



### პროგრამის სახე:

პროფესიული მომზადება

### დონე:

მესამე

### პროგრამის ხანგრძლივობა:

8 კვირა (180 სთ)

### კვირეული საათობრივი დატვირთვა:

25 სთ

### მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური - 5 მაქსიმალური -10

### დაშვების წინაპირობები:

საბაზო განათლება

### პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კომპეტენციის მქონე კადრი, რომელიც შეძლებს: ფრჩხილის მომსახურებისათვის სამუშაო სივრცის მოწყობას

# ფრჩხილის დამუშავება და დაფარვა გელ-ლაქით

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და უსაფრთხოების წესების დაცვით; აღჭურვილობის, განთავსება/მოხმარება/მოვლას; სამუშაო ფრჩხილის ინვენტარის მდგომარეობის და შეფასებას, მასალების საჭირო პროცედურების ჩატარებას პირველადი და საბოლოო დამუშავებისას; ფრჩხილის დაფარვას გელ-ლაქით კლიენტის მოთხოვნების გათვალისწინებით და პროცედურების დაცვით. პროფესიული მომზადების პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნა/უნარებით კურსდამთავრებული შეძლებს: დასაქმებას კერძო სექტორში, და/ან შესაძლოა გახდებს თვითდასაქმებულიც.

## სწავლის შედეგები:

- ორგანიზაციული მოწყობის პრინციპები. სამუშაო ადგილის მოწყობა უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ნორმების დაცვით
- მასალების, სამუშაო იარაღებისა და აღჭურვილობის მოხმარება/განთავსების ნორმები
- ფრჩხილის პირველადი დამუშავება და ფორმის მიცემა
- ფრჩხილის საბოლოო დამუშავება
- ფრჩხილის დაფარვა გელ-ლაქით.



# კარტოფილის წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიები

## პროგრამის სახე:

პროფესიული გადამზადება

## დონე:

მესამე

## პროგრამის ხანგრძლივობა:

12 კვირა (170 სთ)

## კვირეული საათობრივი დატვირთვა:

15 სთ

## მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური - 5 მაქსიმალური -10

## დაშვების წინაპირობები:

- საბაზო განათლება
- კარტოფილის მწარმოებელი ფერმერები

## პროგრამის მიზნები:

- გადაამზადოს სპეციალისტები კარტოფილის გასამრავლებელი-სათესლე/სარგავი მასალის მიღების თანამედროვე,





ინოვაციური მეთოდების შესწავლის და მათი მოვლითი ღონისძიებების მიმართულებით;

- განუვითაროს მსმენელებს საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, ასევე სათანადო კომპეტენციები, რათა შეძლონ გახდნენ კონკურენტუნარიანი კადრები და შეძლონ პროფესიული საქმიანობის წარმატებით განხორციელება.
- გადაამზადოს მსმენელები, რომელებსაც ეცოდინებათ კარტოფილის სათესლე მასალის მიღების ინოვაციური ტექნოლოგიები; ინვიტრო მეთოდით კარტოფილის სადედე მცენარეების მიღება; აპიკალების აჭრის მეთოდი; აპიკალების დაფესვიანება; ჩითილების გამოყვანა/მოვლა; ჩითილების გადარგვა ღია გრუნტში, გადატანილი ჩითილების მოვლითი ღონისძიებები - ნიადაგის დამუშავება, კვება, მავნებელდაავადებათა წინააღმდეგ ინტეგრირებული დაცვის ღონისძიებები, ირიგაცია, მოსავლის აღება.
- პროგრამა დაეხმარება მსმენელებს გაიუმჯობესოს ის კომპეტენციები, რომლებიც დაეხმარება მათ დასაქმებასა და თვითდასაქმებაში.

## სწავლის შედეგები:

- კარტოფილის სათესლე/სარგავი მასალის შერჩევა;
- სათესლე მასალის წარმოების მეთოდები; ინვიტრო ლაბორატორიაში კარტოფილის სადედე მცენარეების წარმოება; აპიკალების აჭრა და გადატანა საჩითილეში.
- ჩითილების გადარგვა ღია გრუნტში;
- ღია გრუნტში გადატანილი

კარტოფილის მცენარეების მოვლა-მოყვანის ღონისძიებები - ნიადაგის დამუშავება, მცენარეთა კვება, ირიგაცია, IPM, მოსავლის აღება და შენახვა.

# სამკურნალო მცენარეების დამზადება



## პროგრამის სახე:

პროფესიული მომზადება

## დონე:

მესამე

## პროგრამის ხანგრძლივობა:

22 კვირა (310 სთ)

## კვირეული საათობრივი დატვირთვა:

15 სთ

## მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური - 6 მაქსიმალური -10

## დაშვების წინაპირობები:

საბაზო განათლება

## პროგრამის მიზნები:

მოამზადოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრი, რომელიც შეძლებს სამკურნალო მცენარეების იდენტიფიცირებას, სამკურნალო მცენარეების



კულტივირებას, შეგროვებას, სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დამუშავებას, შეფუთვას და მარკირებას, ასევე მცენარეული ნედლეულის  მავნებლებისაგან დაცვას, მცენარეთა ჰერბარიუმის გამზადებას.

## სწავლის შედეგები:

- სამკურნალო მცენარის იდენტიფიცირების, კულტივირების, შეგროვების, დამუშავებაშრობის, შეფუთვა–მარკირებისა და  შენახვის თავისებურებათა დახასიათება
- სხვადასხვა სახის სამკურნალო სამკურნალო მცენარის ამოცნობა
- სამკურნალო მცენარეების კულტივირება (მიწის დამუშავება,  თესვა, მოვლა, მოსავლის ალება უსაფრთხოების წესების დაცვით
- სხვადასხვა სახის სამკურნალო მცენარეული ნედლეულის შეგროვება, დამუშავებაშრობა უსაფრთხოების წესების დაცვით
- სამკურნალო მცენარეული ნედლეულის შეფუთვა–მარკირება, შენახვა უსაფრთხოების წესების დაცვით
- მცენარეთა დაცვის მეთოდებისა და საშუალებების გამოყენება
- მცენარეული ნედლეულის მავნებლებისაგან დაცვა
- მცენარეთა ჰერბარიუმის გამზადება







# სახერხი ჩარხის მართვა

## პროგრამის სახე:

პროფესიული მომზადება

## დონე:

მეოთხე

## პროგრამის ხანგრძლივობა:

12 კვირა (240 სთ)

## კვირეული საათობრივი დატვირთვა:

20 სთ

## მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური - 5 მაქსიმალური -10

## დაშვების წინაპირობები:

- სრული ზოგადი განათლება
- ჯანმრთელობის ცნობა ფორმა 100

## პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია მოამზადოს სახერხი ჩარხის ოპერატორები და შესძინოს მათ საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, ასევე

# სახერხი ჩარხის მართვა

სათანადო კომპეტენცია, რათა შეძლონ პროფესიული საქმიანობის წარმატებულად განხორციელება. კერძოდ, იცოდნენ ხის სახეობების, დეფექტების, ხის ხარისხისა და ზომის კლასების განსაზღვრა, სახერხი საწარმოს ტექნოლოგიების აღწერა, ლენტური და ცირკულარული სახერხი ჩარხების მუშაობის პრინციპების აღწერა. ასევე, შეძლონ შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით სამუშაო გარემოს ორგანიზება, სახერხი ჩარხის აპარატისა და ინსტრუმენტების გამოყენება, მართვა და მორების დახერხვა.

## სწავლის შედეგები:

- შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით სამუშაო გარემოს ორგანიზება
- ხის სახეობების, დეფექტების, ხის ხარისხისა და ზომის კლასების განსაზღვრა
- სახერხი საწარმოს ტექნოლოგიების აღწერა
- ლენტური და ცირკულარული სახერხი ჩარხების მუშაობის პრინციპების აღწერა
- სახერხი ჩარხის აპარატისა და ინსტრუმენტების გამოყენება და მართვა
- მორების დახერხვა







# ხე-ტყის დამზადება

## პროგრამის სახე:

პროფესიული მომზადება

## დონე:

მეოთხე

## პროგრამის ხანგრძლივობა:

8 კვირა (230 სთ)

## კვირეული საათობრივი დატვირთვა:

25-30 სთ

## მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური - 5 მაქსიმალური -12

## დაშვების წინაპირობები:

სრული ზოგადი განათლება

## პროგრამის მიზნები:

პროფესიული მომზადების პროგრამის „ხე-ტყის დამზადება“ მიზანია კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ტყეში ხე-ტყის დამზადების სამუშაოების

ორგანიზებას შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვით, სამუშაო იარაღებისა და აღჭურვილობის მოვლას და გამოყენებას, ხის ჭრის პროცესის მომზადებას, ხის უსაფრთხოდ მოჭრას და მოჭრილი ხის გაწმენდას, დამზადებული ხე-ტყის დახარისხებას და ჭრის ნარჩენების განთავსებას, დამზადებული ხე-ტყის გამოზიდვას და სატრანსპორტო საშუალებებზე დატვირთას.

## სწავლის შედეგები:

- უსაფრთხოების წესების დაცვით სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება და მანქანა-იარაღების, სპეც ტექნიკის გამოყენება
- სამუშაოს ორგანიზება ხე-ტყის დამზადებისას
- ხის ჭრის პროცესის მომზადება
- ხის მოჭრა და მოჭრილი ხის გაწმენდა
- დამზადებული ხე-ტყის დახარისხება და ჭრის ნარჩენების განთავსება
- დამზადებული ხე-ტყის გამოზიდვა და სატრანსპორტო საშუალებებზე დატვირთვა

# ტყის არამერქნული პროდუქტების მდგრადი წარმოება



## პროგრამის სახე:

პროფესიული მომზადება

## დონე:

მეოთხე

## პროგრამის ხანგრძლივობა:

3 კვირა (45 სთ)

## კვირეული საათობრივი დატვირთვა:

15 სთ

## მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური - 5 მაქსიმალური -15

## დაშვების წინაპირობები:

სრული ზოგადი განათლება

## პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია მოამზადოს ტყის არამერქნული პროდუქტების მდგრადი წარმოების სპეციალისტები და შესძინოს მათ საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, ასევე სათანადო კომპეტენცია, რათა





შეძლონ პროფესიული საქმიანობის წარმატებულად განხორციელება, როგორიცაა, ტყის არამერქნული პროდუქტების მიმართულებით ბიზნესის დაგეგმვა და პროდუქციის რეალიზაცია, კომერციულად მნიშვნელოვანი ტყის არამერქნული პროდუქტების იდენტიფიკაცია, შეგროვების არეალების დარუკება, მდგრადი შეგროვების ვადების, მეთოდების და აღჭურვილობის შერჩევა, ნედლეულის პირველადი დამუშავება და ხარისხის შეფასება, გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესის, შეფუთვის და შენახვის პირობების შერჩევა და საქმიანობისას სურსათის უვნებლობის და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა.

## სწავლის შედეგები:

- ტყის არამერქნული პროდუქტების გარემოსდაცვითი, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობის აღწერა
- ტყის არამერქნული პროდუქტების მიმართულებით ბიზნესის დაგეგმვის და რეალიზაციის გზების აღწერა
- ტყის არამერქნული პროდუქტების იდენტიფიცირება და შეგროვების არეალების დარუკება
- ტყის არამერქნული პროდუქტების მდგრადი შეგროვების ვადების, წესების, მეთოდების და აღჭურვილობის შერჩევა
- ტყის არამერქნული პროდუქტების პირველადი დამუშავების და გადამუშავებისას სურსათის უვნებლობის და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა
- ტყის არამერქნული პროდუქტების ნედლეულის შეფასება და პირველადი დამუშავება

- ტყის არამერქნული პროდუქტების გადამუშავება, შეფუთვა და შენახვა

# პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი

- შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
- განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე, ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
- განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

  ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

  ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
- განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება მხოლოდ ერთჯერ პროგრამის დასრულებამდე, თუ ეს მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას.
- თუ მოდული მოდულზე დაშვების წინაპირობაა პროფესიული სტუდენტი ვალდებულია სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ვადებში დაადასტუროს წინმსწრები მოდულის დაუდასტურებელი სწავლის შედეგი/შედეგები.
- აღნიშნული მუხლის მე- 5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში სწავლის შედეგების არ/ვერ დადასტურება ითვლება სტუდენტის მიერ მოდულის კრედიტების აუთვისებლობად და სტუდენტს აღარ აქვს მომდევნო მოდულზე სწავლის, შესაბამისად, პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.
- შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/ წინაპირობების დაძლევის გარეშე.
- შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით, ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/

წინაპირობების დაძლევის გარეშე.

- სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია ჩატარდეს, როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს ასევე, შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად შეფასება.
- შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.
- სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებშიც:

  ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);

  ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურებით;

- სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების შემთხვევაში, ანუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური პროგრამა) საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი მენტორი/ინსტრუქტორი;
- კოლეჯსა და საწარმოს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტი მუშაობს კომპანიაში/საწარმოში ინსტრუქტორის ზედამხედველობის ქვეშ, აწარმოებს სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს, რომელსაც ამოწმებს ინსტრუქტორი და მიღწევის შემთხვევაში, უდასტურებს სწავლის შედეგებს, რასაც სტუდენტი შერჩევით ადასტურებს საკვალიფიკაციო გამოცდის დროს;
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აწვდის ინფორმაციას შედეგის დადასტურების / დაუდასტურებლობის შესახებ შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 დღისა (წინმსწრები მოდულის შემთხვევაში არაუგვიანეს მეორე დღისა);

- პროფესიულ სტუდენტს ჩატარებული შეფასების შედეგად მიღებული შედეგის გაცნობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში შეუძლია გაასაჩივროს მიღებული შედეგი, რის შესახებაც პროფესიულმა სტუდენტმა / კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს წერილობითი განცხადებით (წინმსწრები მოდულის შემთხვევაში იმავე დღეს). კოლეჯის დირექტორი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით 2 სამუშაო დღის ვადაში იწვევს სააპელაციო კომისიას საკითხის განსახილველად. კომისია განიხილავს (საკმარისი / ავთენტური მტკიცებულების არ არსებობის შემთხვევაში შესაძლოა დაინიშნოს განმეორებითი შეფასება.) და მიღებულ გადაწყვეტილებას არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი აცნობს პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს;
- კოლეჯი არ არის უფლებამოსილი არსებული შეფასების საფუძველზე შეუწყვიტოს პროფესიულ სტუდენტს სტატუსი სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებამდე.
- დუალურ პროგრამაზე კვალიფიკაციის მინიჭების დამატებითი პირობაა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

# პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების შეფასების სისტემა

- პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიდგომით. არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

    - სწავლის შედეგი დადასტურდა;
    - სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

- განმსაზღვრელი შეფასების უარყოფითი შედეგების მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

# საკონტაქტო ინფორმაცია

ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქუჩა N 111

OPIZARI2011@GMAIL.COM

OPIZARIVET.GE

# შენი გზა წარმატებისკენ!